

'THE HOLY'- A STORY BY TAMAZ BIBILURI IN TEARMS OF NARRATOLOGICAL CRITICISM

თამაზ ბიბილურის მოთხრობა „ყველაწმინდა“ ნარატოლოგიური კრიტიკის
კრილში

Tamta Savianidze

PhD student, Akaki Tsereteli State University,
Tamar Mepe St#59, 4600, Kutaisi, Georgia,
+995 577 41 90 31, tamta.shavoianidze@atsu.edu.ge,
Tshavianidze1997@gmail.com
<https://orcid.org/0009-0000-1909-9504>

Abstract. The multi-layered artistic reality embodied in the work of Tamaz Bibiluri, a Georgian writer of the second half of the 20th century, greatly expands the range of interpretation of the text. The prose by writer is an artistic space full of individualism, in which the inner world of a person, personal traits are revealed and shows the character of the era in this way, while the author's vision and ideological-worldview approaches are outlined.

The prose by Tamaz Bibiluri is distinguished by a peculiar manner of narration, which is one of the expressions of his writing skill. Bibiluri's work is quite valuable from the point of view of research in terms of narratological criticism. Playing with narrative isn't rare in his stories and novels, when the four main components of narratology: multiplicity of voices, accentuation of characters, author's and character's point of view, the role of writers and heros appear in perfect form.

The variety of narrative storytelling is well demonstrated in the story -'The Holy' by Tamaz Bibiluri.

The title of the work has a narratological function along with general artistic purpose. According to the Explanatory Dictionary of the Georgian language (Kegl: 1962. VII, 564-565), 'Qvelatsminda, the same as 'Qovladtsminda or ' Qovelitsminda in Georgian and in the Christian world means the Holy, Pure, exceptionally worthy in all aspects. Most of the above-mentioned terms are used in relation to Saints, but there are cases when they may also be used in relation to an ordinary, usual person.

During the research of the narratological index of the characters of the story, the strict, restrained, moderate, and even overly conservative character of Tinia should be distinguished. However, when evaluating her as a character, the main thing is seeing a woman from a different point of view. Tinia went through a lot of pain and sorrow, living a life full of tragedy, transforming from a pleasant, mischievous girl to the godmother of the village. The godmother is the embodiment of sadness, who, despite personal pains, still maintains courage. It can be said that Tinia is one of the strong female characters of Georgian fiction.

For Bibiluri, one of the most striking features of his prose is the seamless introduction of both the reader and the author into the narrative process, during which the logical structure and organized flow of the story remain unchanged. The principle of focalization integrates so naturally within the multitude of voices that the reader no longer has to navigate between different narrative variations. Consequently, for the sake of textual clarity, Bibiluri preserves the narrator's explanations. In the godmother's death scene, he creates a contrast with the end of the story, once again highlighting the often unhelpful conclusion of reality.

It can be said that the research using the narratological method better revealed the content layers of the text and the author's writing skills. Through the well-expressed narrative characteristics, the text achieves a profound, multi-layered artistic reality, which enhances the literary value of the work and underscores the postmodernist markers within it. In the form of the story 'The Holy' Tamaz Bibiluri has created another remarkable contribution to Georgian literature of the second half of the 20th century, thereby advancing our centuries-old artistic tradition.

Keywords: Narratology, Index, Author-Narrator, Character Function, Narration Process.

თამთა შავიანიძე

დოქტორანტი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქუთაისი, თამარ მეფის #59, 4600, საქართველო,
+995 577-41-90-31, tamta.shavoianidze@atsu.edu.ge
Tshavianidze1997@gmail.com
<https://orcid.org/0009-0000-1909-9504>

აბსტრაქტი. XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერლის თამაზ ბიბილურის შემოქმედებაში განსახოვებული მრავალშრიანი მხატვრული სინამდვილე ტექსტის ინტერპრეტაციის სპექტრს საკმაოდ აფართოებს. მწერლის პროზა ინდივიდუალიზმით სავსე მხატვრული სივრცეა, რომელშიც ადამიანის შინაგანი სამყარო, პიროვნული შტრიხები ვლინდება და ამ ფონზე მუდავნდება ეპოქის ხასიათი, ამასთან, იკვეთება ავტორისეული ხედვა, იდეურ-მსოფლმხედველობრივი მიდგომები.

თამაზ ბიბილურის პროზა გამოირჩევა თხრობის თავისებური მანერით, რაც მისი მწერლური ოსტატობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ბიბილურის შემოქმედება საკმაოდ ღირებულია ნარატოლოგიური კრიტიკის ჭრილში კვლევის თალსაზრისით. მის მოთხრობებსა და რომანებში ხშირია ნარატივით თამაში, როდესაც ნარატოლოგიის ოთხი მთავარი კომპონენტი: ხმების სიმრავლე, პერსონაჟთა აქცენტირება, ავტორისა და პერსონაჟის თვალთახედვა, მწერლისა და გმირის როლი, სრულყოფილი სახით წარმოჩნდება.

ნარაციული თხრობის მრავალფეროვნება კარგად ვლინდება თამაზ ბიბილურის მოთხრობაში „ყველაწმინდა“.

ნაწარმოების სათაურს ზოგადმხატვრულ დანიშნულებასთან ერთად ნარატოლოგიური ფუნქციაც გააჩნია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით (ქეგლ: 1962. VII, 564-565), ყველაწმინდა, იგივე ყოვლადწმინდა, ყოველიწმინდა, ქართულში და საქრისტიანო სამყაროში ყველაფრით წმინდას, სპეტაკს, გამორჩეულად ღირსებთანს გულისხმობს. აღნიშნული ტერმინები წმინდანებთან მიმართებით გამოიყენება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა შესაძლოა ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის მიმართაც იქნას გამოყენებული.

მოთხრობის პერსონაჟთა ნარატოლოგიური ინდექსის კვლევისას უნდა გამოიყოს თინიას მკაცრი, თავშეკავებული, ზომიერი და ზედმეტად კონსერვატორული ხასიათიც. თუმცა, მისი, როგორც პერსონაჟის, შეფასების დროს, მთავარი სულ სხვა თვალთ დანახული ქალია. თინიამ უამრავი ტკივილითა და დარდით, ტრაგიზმით სავსე ცხოვრებით განვლო გზა ლაღი, ცელქი გოგონადან სოფლის ნათლიდებობამდე. ნათლიდეთა სევდის განსხეულებაა, რომელიც, მიუხედავად პირადი ტკივილებისა, მაინც ინარჩუნებს სიმხნევს. შეიძლება ითქვას, რომ თინია ქართული მხატვრული ლიტერატურის ძლიერ ქალ პერსონაჟთა ერთ-ერთი გამოკვეთილი სახეა.

ბიბილურისთვის პროზის ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი მახასიათებელი მკითხველისა და ავტორის ბუნებრივად შემოყვანაა თხრობის პროცესში, რომლის დროსაც ლოგიკური სურათი და ამბის ორგანიზებული მდინარეა არ იცვლება. ფოკალიზაციის პრინციპი კი ისე ბუნებრივად გადაიზრდება ხოლმე ხმათა სიმრავლეში, რომ მკითხველს აღარ უწევს ხმათა ვარიაციებში მონაცვლეობა. ამიტომაცაა, რომ ტექსტის უფრო გამჭვირვალობისთვის მთხრობელის განმარტებებს იშველიებს ბიბილური და ნათლიდეთა სიკვდილის სცენაშიც სოფლის მიერ გალეგენდებული ამბის მეშვეობით ცდილობს შექმნას კონტრასტი მოთხრობის დასასრულთან მიმართებით, კიდევ ერთხელ დაგვანახოს სინამდვილის არცთუ ისე იმედიანი ბოლო.

შეიძლება ითქვას, რომ ნარატოლოგიური მეთოდით კვლევამ უკეთ წარმოაჩინა ტექსტის შინაარსობრივი პლანები და ავტორის მწერლური ოსტატობა. კარგად გამოხატული ნარაციული მახასიათებლების მიხედვით, ტექსტში ღრმააზროვანი, მრავალშრიანი მხატვრული რეალობა იქმნება, რომელიც ზრდის მხატვრული ნაწარმოების ლიტერატურულ ღირსებას და გამოკვეთს თხზულების პოსტმოდერნისტულ მარკერებს. მოთხრობის „ყველაწმინდა“ სახით, თამაზ ბიბილური მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისთვის კიდევ ერთ საყურადღებო ნაწარმოებს ქმნის, რითიც საკუთარი წვლილი შეაქვს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მხატვრული შემოქმედების განვითარების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: ნარატოლოგია, ინდექსი, ავტორი-მოთხრობელი, პერსონაჟის ფუნქცია, თხრობის პროცესი.

შესავალი. XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერლის თამაზ ბიბილურის შემოქმედებაში განსახოგნებული მრავალშრიანი მხატვრული სინამდვილე აფართოებს ტექსტის ინტერპრეტაციის სპექტრს. მწერლის პროზა ინდივიდუალიზმით სავსე მხატვრული სივრცეა, რომელშიც ადამიანის შინაგანი სამყარო, პიროვნული შტრიხები ვლინდება და ამ ფონზე მჟღავნდება ეპოქის ხასიათი, ამასთან, იკვეთება ავტორისეული ხედვა, იდეურ-მსოფლმხედველობრივი მიდგომები.

თამაზ ბიბილურის პროზა გამოირჩევა თხრობის თავისებური მანერით, რაც მისი მწერლური ოსტატობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ამდენად, ბიბილურის შემოქმედება საკმაოდ ღირებულია ნარატოლოგიური კრიტიკის ჭრილში კვლევის თალსაზრისით. მწერლის მოთხრობებსა და რომანებში ხშირია ნარატივით თამაში, როდესაც ნარატოლოგიის ოთხი მთავარი კომპონენტი: ხმების სიმრავლე, პერსონაჟთა აქცენტირება, ავტორისა და პერსონაჟის თვალთახედვა, მწერლისა და გმირის როლი, სრულყოფილი სახით წარმოჩინდება. თითოეული მათგანი ბიბილურის პროზაში ახალ სიმაღლეზე ადის და განსხვავებულად ასახავს სინამდვილეს. მეტიც, ერთ კონკრეტულ თხზულებაში, შეიძლება ყველა ერთადაც იყოს თავმოყრილი. მწერლის ნაწარმოებებში მკვეთრად იგრძნობა თხრობის თავისებურებათა ვარიაციული შემთხვევები.

ნარატოლოგიური მეცნიერების/ თხრობის თეორიის, მისი სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით კვლევისას თამაზ ბიბილურის მოთხრობებში იკვეთება ადამიანი მიერ სამყაროს შემეცნებისა და აღქმის აუცილებლობა.

მეთოდები. სტატიაში გამოყენებულია ტექსტის მხატვრული ანალიზისა და აღწერითი მეთოდები, რომლებიც ეყრდნობა ნარატოლოგიის/ თხრობის თეორიის პინციპებს.

შედეგები და მსჯელობა. ნარაციული თხრობის მრავალფეროვნება ვლინდება თამაზ ბიბილურის ერთ-ერთ მოთხრობაში - „ყველაწმინდა“.

მოთხრობის ტექსტში იკვეთება ჟერან ჟენეტისეული ნარაციის სამი სახე (ჟენეტი, 1988: 44-49). მასში გამოგონილი ამბების თანმიმდევრობით იქმნება თხრობის აქტი. რამდენიმე ადგილას გვხვდება უშუალოდ მწერლისეული კომენტარები, რომელთა მიხედვით, მკითხველისთვის გასაგები ხდება, თუ ვის ეკუთვნის ტექსტში გამოთქმული ესა თუ ის მოსაზრება, მაგ: „ამას სოფელი ამბობს მკითხველო“... (ბიბილური, 1981: 95) პირველი მახასიათებლის მიხედვით საქმე გვაქვს ტექსტთან - იმ ამბავთან, რის შესახებაც ჰყვება მწერალი, ამ შემთხვევაში, ესაა მენახირე თაყასა და მისი მეუღლის თინიას ისტორია;

მეორე შემთხვევაში ყურადღება ექცევა სიუჟეტს - რა მოვლენებითაა განსახოვნებული ამბავი; ხოლო მესამე შემთხვევაში აქცენტი კეთდება თხრობის მანერაზე - საუბრობს მთხრობელი, როგორც ავტორი, თუ უბრალოდ ავტორი - დამკვირვებელი.

მოთხრობაში „ყველაწმინდა“ ნარაცია სამი თვალსაზრისით მჟღავდენა: პროცესის თვალსაზრისით - როგორც ტრადიციულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ავტორი თავადაა მთხრობელი და თავადვე ჰყვება ამბავს. აღნიშნული ეხება მოთხრობის თითქმის მთლიან ტექსტს, რადგან სამივე თავში ავტორისეულ გაბმულ თხრობასთან გვაქვს საქმე; ობიექტის თვალსაზრისით, როცა თავად მკითხველი უნდა გახდეს ავტორი და გაიგოს, რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა, რაც საკმაოდ ხშირია ბიბლიურის მოთხრობებში, რადგან მკითხველის ამგვარი ჩართვა თამაშში მისი გამოკვეთილი ხელწერაა. მოთხრობაში ეს უკანასკნელი რამდენიმე ეპიზოდში გვხვდება. მაგ. როცა სიტუაცია ძალიან იძაბება და მწერალი მკითხველს ტოვებს საკუთარ თავთან მარტო ან, როცა საბოლოო დასკვნა ისევ და ისევ მკითხველს გამოაქვს. სულ ბოლოს, სინთეტიკური თვალსაზრისით, ავტორიც და მკითხველიც ერთდროულად ერთვება სიუჟეტის განვითარებაში (ხარბედია, 2008: 128).

მოთხრობაში ქართული ლიტერატურისათვის კარგად ცნობილი ისეთი თემებია დამუშავებული, როგორებიცაა: უჩინარი, ჩვეულებრივი ადამიანების, ასევე, მტიცე ნებისყოფის მქონე, ძლიერი პიროვნებების კონფლიქტი გარესამყაროსთან, საკუთარ მესთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემები საუკუნეების განმავლობაში არა ერთი ავტორის მიერ არის მხატვრულად ასახული, ბიბლიური მაინც ახერხებს განსხვავებულად დაანახოს მკითხველს თითოეულის სიმწვავე თუ მნიშვნელობა. აღნიშნულს ის არა მარტო შინაარსობრივი, არამედ ნარატოლოგიური მრავალფეროვნების ხარჯზე აღწევს. ბიბლიურის ამ კონკრეტულ მოთხრობასა და თითქმის მთელ შემოქმედებაში თხრობის პროცესში თავისუფლად ერთვება თავად ავტორი და მკითხველი.

ნაწარმოების სათაურს ზოგადმხატვრულ დანიშნულებასთან ერთად ნარატოლოგიური ფუნქციაც გააჩნია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით (ქეგლ, 1962. VII: 564-565), ყველაწმინდა, იგივე ყოვლადწმინდა, ყოველიწმინდა, ქართულში, საქრისტიანო სამყაროში ყველაფრით წმინდა, სპეტაკი, გამორჩეულად ღირსებია.

ცნობილია, რომ აღნიშნული ტერმინები წმინდანებთან მიმართებით გამოიყენება, მაგრამ ქართულ სინამდვილეში ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის მიმართაც იხმარება. როგორც წესი, ასეთი პიროვნებები განსაკუთრებით დიდ მოწიწებასა და დაფასებას იმსახურებენ ხოლმე საზოგადოებისგან. თითოეული მათგანი, რაღაც ნიშნის მიხედვით განყენებული, აღმატებულია სხვა დანარჩენებთან შედარებით და პიროვნულ-ზნეობრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დგას.

მაინც, რატომ აირჩია მწერალმა სათაურად ლექსემა „ყველაწმინდა“? პასუხი მარტივია: აღნიშნული ტერმინი განსაკუთრებული პიროვნებების დასახასიათებლად გამოიყენება. ამიტომაცაა, რომ მოთხრობის მთავარი გმირი თაყა ძალიან საინტერესო და ღრმააზროვან სახეს ქმნის. მისი პერსონით ავტორი იდეალური ადამიანის პორტრეტს ხატავს, ვინც სიკვდილის შემდეგ ალაპარაკა სოფელი, შეძლო და მის გარშემომყოფებისთვის „ყველაზე დამამცირებელი საქმიანობით“ - მენახირობით, უდიდესი კვალი დაეჩნია სოფლისათვის.

ამიტომაც სათაური თავისუფლად შეგვიძლია ჩავთვალოთ ფუნქციად, რომელიც მთლიანი ტექსტის ნარატოლოგიურ ელემენტთა სიმრავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ერთეულია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სათაური ძირითადი სათქმელის გასაღებია და სიუჟეტის განვითარებაშიც მონაწილეობს.

კიდევ ერთი მახასიათებელი, რაც ბიბლიურის მოთხრობაში ნარატოლოგიური კუთხით შესწავლისას მჟღავნდება „ინდექსია“ (რ. ბარტი). ინდექსის ცნება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება, როგორც მხატვრული ტექსტის პერსონაჟების ეცმოციური

მდგომარეობის დასადგენი ნიშნული, რომლის მიხედვითაც მკითხველი თავიდან ბოლომდე იაზრებს პერსონაჟის მხატვრულ სახეს და ეცნობა მის ფუნქციურ დატვირთვას. პერსონაჟის ემოციური მდგომარეობა, ხშირ შემთხვევაში, მთელი ტექსტის იდეურ-შინაარსობრივ მამოძრავებელ ბერკეტს წარმოადგენს. მოქმედი გმირის ემოცია განსაზღვრავს ნაწარმოების შინაგან იმპულსს და ექსპრესიულ ხასიათს.

მოთხრობის პერსონაჟთა ნარატოლოგიური ინდექსის კვლევის დროს გამოიყოფა თინიას მკაცრი, თავშეკავებული, ზომიერი და ზედმეტად კონსერვატორული ხასიათიც კი. თუმცა მისი, როგორც პერსონაჟის, შეფასების დროს მთავარი სულ სხვა თვალთ დანახული ქალია.

თინიამ უამრავი ტკივილითა და დარდით, ტრაგიზმით სავსე ცხოვრებით განვლო გზა ლაღი, ცელქი გოგონადან სოფლის ნათლიდებობამდე. ნათლიდედა სევდის განსხეულებაა, რომელიც, მიუხედავად პირადი ტკივილებისა, მაინც ინარჩუნებს სიმხნევს. შეიძლება ითქვას, რომ თინია ქართული მხატვრული ლიტერატურის ძლიერ ქალ პერსონაჟთა ერთ-ერთი გამოკვეთილი სახეა. ის დანაკარგების სიმძიმის მიუხედავად, მაინც ახერხებს ცხოვრების გაგრძელებისთვის საჭირო ძალის შენარჩუნებას, სხვის სწორ გზაზე დაყენებას და თანასოფლელებში საფიქრალ - საზრუნავის გაჩენას. მისი თითოეული ნაბიჯი ნაფიქრი და წინასწარ განზრახულია. ნათლიდედამ მშვენივრად იცის ამ ცხოვრების კეთილი და ბოროტი; იმასაც ხვდება, რომ სოფელი ჭრელია და ზედმეტ ფიქრს ერიდება. განვლილი ტრაგიკულ-გაუხარელი ცხოვრების, ემოციათა სიჭარბის ფონზე, იმდენად იფიტება ქალი, რომ ნათლიდედისთვის აღარ არსებობს არავითარი შიში, თავისუფლად ახერხებს ყველა წინააღმდეგობას გაუმკლავდეს. თინიამ მისთვის თითქმის გადაულახავი, უკანასკნელი შიში მარტო დარჩენისა დამლია და აღარვის ნატრობს, ვისაც ტკივილს გაუზიარებდა.

ქალის ხასიათი კარგად ჩანს ჯულურასთან ურთიერთობის ეპიზოდშიც. ნათლიდედას სწორმა მოქმედებამ დამნაშავეს საკუთარი შეცდომა დაანახა და გულწრფელი სინანულის გრძნობა გაუჩინა. მეტიც, საშუალება მისცა, ცოდვა გამოესყიდა. სულგრძელობით შეძლო და გზას აცდენილი ადამიანი გამოასწორა, უკეთესი ცხოვრების შანსი მისცა, კიდევ ერთი კეთილი საქმით გაიკაფა გზა სასუფეველამდე.

მოთხრობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟის ჯულურას ემოციურ-სულიერი მდგომარეობა შესაძლებელია მიჩნეულ იქნას, როგორც ნარატოლოგიური ინდექსის გამოხატულება. ესაა კაცი, რომელიც თავიდან მოთხრობაში სუსტი ნებისყოფის, ცოლის მორჩილ, უფუნქციო, დამნაშავედ წარმოჩნდება, ნათლიდედის ცხოვრებისეული გაკვეთილის შემდეგ კი სრულიად ფერშეცვლილ პიროვნებად გვევლინება. კუმტი, ვითომ გაუტეხელი ადამიანიდან, მოთხრობის ბოლოს, სრულიად გულჩვილი, კეთილი და სხვათა მიმართ შემწყნარებელი კაცი ხდება, ვისაც შესწევს ძალა პირად სურვილებს შეეწინააღმდეგოს და სწორი ცხოვრების წესით მთელ სოფელს მაგალითი მისცეს, დაანახოს, რომ გადარჩენა ყოველთვის შეიძლება.

შემთხვევითი ისიც არ არის, რომ მოთხრობას ეპიგრაფად წამმღვარებული აქვს ამონარიდი ჰაგიოგრაფიული ჟანრის რომანიდან „სიბრძნე ბალავარისი“. ეპიგრაფით ავტორი თავიდანვე აწვდის მკითხველს მოთხრობის მთავარ სათქმელს, ტექსტის დედააზრს. ამავე დროს, გამოკვეთს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელიც შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებით კიდევ უფრო მკაფიოდ დასტურდება - ადამიანებს ყველაზე მეტად ამქვეყნიური საცდურის დატოვება უნდა უადვილდებოდეთ, რადგან მთავარი სულისთვის ზრუნვა და მისი ცხოვრებაა, რადგანაც არავინ იცის იქ, მარადიულ სამყოფელში, რა „იწროება“ („სიბრძნე ბალავარისი“) დახვდებათ.

ბიბლიურის მოთხრობის თითქმის ყველა ნიუანსში მყდავნილება ჩ. მეტინგლის მიერ გამოყოფილი ნარატივის/მოთხრობის სამი თვისება. პირველი თვისება, ნარატივის

მოვლენებზე ორიენტირებას გულისხმობს და პერსონაჟთა ურთიერთობის საშუალებით წარმოჩნდება ტექსტში (ხეჩუაშვილი, 2013: 63-84). მისი საშუალებით საამკარაოზე გამოდის თითქმის ყველა პრობლემური საკითხი მოთხრობისა, ესაა ზემოქმედება არა მარტო თავად პერსონაჟთა შორის, არამედ პერსონაჟსა და პერსონაჟად ქცეულ მკითხველს შორის. ტექსტში ამბავი სამ ნაწილად იყოფა და ძირითადი სიუჟეტი თავის სიკვდილის შემდეგ ვითარდება.

„თაყა მოკვდა“ - ეს ფრაზა გახდა ამოსავალი წერტილი ყველა სხვა დანარჩენისა. მოკვდა, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სიტყვაა, რადგან ოდესღაც ყველა ადამიანი მიდის ამ სოფლიდან, მაგრამ აქ მთავარი ისაა, თუ როგორ მოკვდა, სიკვდილის შემდეგ რა დატოვა. სწორედ ამ დანატოვარის ძიების პროცესში ხდება მკითხველი ყველაზე აქტიური მოქმედი გმირი, ცდილობს გაერკვეს რისი თქმა უნდოდა ავტორს და რა მინიშნებებს იძლევა პერსონაჟთა ხასიათით.

მეორე და მესამე თვისება თითქმის ერთი და იმავე შინაარსობრივ ჭრილს მოიცავს რის მიხედვითაც, ბიბლიური მოთხრობის ტექსტში ნარატივის გამოცდილებაზე აქცენტირებას ნათლიდევას პერსონაჟით წარმოადგენს. ესაა ადამიანის წარსული ცხოვრების გამოცდილებაზე დაფუძნებული ახალი ტიპის შექმნა, ვისი სახითაც ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ქალი პერსონაჟი იხატება. თინია ახალი ეპოქის შვილია, რომელსაც თავისუფლად შეუძლია, მოვლენათა არსში გარკვევა და საკუთარი სიმართლის ბოლომდე დაცვა; ის არაფრით გავს სხვა მის წინამორბედ ქალ პერსონაჟებს, გაცილებით უფრო ძლიერი და მოქმედი ტიპია.

ბიბლიურის ტექსტში ექსპრესიულ ეფექტს სხვა ნარატოლოგიური ნიუანსებიც ამძაფრებს. მათ ფონზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაწარმოების სიუჟეტი მხოლოდ მშრალი ნარაცია არაა, ეს გაცილებით უფრო მრავალფეროვანი კომპოზიციაა, რომლის საშუალებითაც თავისუფლად შესაძლებელი აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ შინაარსზე, არამედ ამბის გადმოცემის სტილსა და მანერაზე.

ბიბლიური მცირე, თითო წინადადებიანი ჩართვებითაც ახერხებს განსხვავებული რეალობების შექმნას და უბრალო მენახირის და, მისი მეუღლე - ნათლიდევას ისტორიას სრულიად სხვა დატვირთვას აძლევს. ერთ მთლიანობად კრავს ამბავს, ნარატივსა და თხრობას, რის საფუძველზეც ცდილობს კომუნიკაცია დაამყაროს მკითხველთან.

ნარატოლოგიის ძირითადი ანალიტიკური კომპონენტებიდან თამაზ ბიბლიურის მოთხრობაში უნდა ვეძებოთ „თხრობის როლიც“ (ბრემონი). ბრემონის მიხედვით გამოიყოფა თხრობის როლის ორი ტიპი – აქტიური, რომლსაც ისინი ასრულებენ, ვინც მოქმედების ინიციატორია და პასიური – ვინც განიცდის ზემოქმედებას (ხარბედია, 2008: 131).

ბიბლიურის ამ კონკრეტული მოთხრობის შემთვევაში საქმე გვაქვს თხრობის აქტიურ როლთან, ძირითად პერსონაჟთა ცხოვრების წესისა და ავტორის, როგორც პერსონაჟის, ჩართვით. სწორედ მათგან ისმენს მკითხველი ამბავს და უკვე ნაწარმოების ფინალში თავად ხდება პასიური განმცდელი თითოეული გმირის მოქმედებისა. ნაწარმოების თავებად დაყოფაც აღნიშულ მიზანს ემსახურება, რადგან სათაურით გადმოცემული შინაარსი ზუსტ ასახვას პოულობს გამონათქვამებისა და მოკლე ისტორიების ორგანიზებაში.

მოთხრობის პირველი ნაწილის სათაურში „მენახირის სიკვდილი“ თავს იყრის, როგორც ადამიანურ-ოჯახური ტრაგედია, ისე ყოფითი საქმიანობის ამსახველი, მენახირე ადამიანის ცხოვრების ტვირთი. თავისთვის ტვირთი იყო მთელი ცხოვრება, ყველასთვის უკადრის საქმეს - საქონლის პატრონობას - არ თავილობდა და ბედმა არც ის დააკლო, რომ რვავე შვილი დაეღუპა. თაყა ის პერსონაჟია, რომელშიც საქრისტიანო სამყაროს შვიდივე სათნოებაა თავმოყრილი. თავმდაბალია, რადგან არავის ემეტება და ყველასგან შეუჩნეველი რჩება; მოწყალეა, რადგან ყველას გასაკეთებელ რთულ საქმეს იღებს პირად პასუხისმგებლობად და არასდროს აპროტესტებს; უმანკოა, რადგან მისგან წამოსული

აუგანი სიტყვა არავის ახსოვდა სოფელში; ზომიერი და მომთმენია, რადგან არავის არასდროს გაუგია თაყას გადამეტებული საქციელის შესახებ, ყოველთვის ყველაზე ბოლოს იჯდა ხოლმე საბჭოს კრებებზე და არავის თვალში არ ხვდებოდა. მოთმინების, ამტანობის სიმბოლო თაყა, ურთულესი ცხოვრების მიუხედავად მაინც რომ ახერხებს სასოფლო, საზოგადო საქმის კეთებას. მიუხედავად იმისა, რომ გაძალღებულმა ცხოვრებამ მაინც დააჩინა დალი და მხოლოდ ჭირის დღეებისათვის გამართულ თავყრილობებში გამოჩნდებოდა ხოლმე ხალხში, მისი „ნათელსულიანობა“ კარგად გამოჩნდა დაკრძალვის დღეს მოსულ ჭირისუფალთა სიმრავლეში. თაყა სოფელმა დაიტირა, სოფელმა იგრძნო, რომ ასეთი შეუმჩნეველი, ლანდად ქცეული ადამიანი, თურმე ყველაზე საჭირო ყოფილა. საკუთარი საჭიროების წინაშე ისე დაიბნენ და უსუსური გახდნენ, რომ ვეღარ გაეგოთ ვისთვის ეთხოვნათ შველა.

მრავალმნიშვნელოვანია ავტორის მიერ თაყას მიმართ ლექსემის - მოკვდა და არა გარდაიცვალას გამოყენება, რაც არ გამოხატავს მისადმი უპატივცემულობას, პირიქით აღნიშნულით ბიბილური ცდილობს მკითხველს დააანახოს სოფლის ნამდვილი სახე, თინიას კიდევ ერთი ტრაგედია და ხაზს უსვამს თანასოფლელების უსაგნო ყოფას. სოფელი, სანამ დანაკლისს იგრძნობდა, და მერეც მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ ვალი მოეხადა მიცვალებულის წინაშე. სხვა მხრივ კი, სოფლის „კანონებიდან“ გამომდინარე, სიცილით გააცილებდნენ მოხუც მკვდარს - თაყას, იმ სიტყვასაც მიაყოლებდნენ, „რა უდრო დროს გარდაიცვალაო“, მაგრამ, მიუხედავად ავტორისეული განმარტება-გამოსარჩლებისა: „სოფელი კეთილია და ეს ფიქრიც სიკეთით მოდიოდაო“ (ბიბილური, 1981: 98), ეს სინანულიანი გამოძახილი, მხოლოდ ეგოისტური ფიქრების გამჟღავნება იყო და სხვა არაფერი. თაყას სიკვდილმა უბრალოდ ხელი შეუშალათ პირადი გეგმების განხორციელებაში, რაზეც მეტყველებს თანასოფელელთა გულწრფელი ამოძახილი: „რალა ახლა მოუნდა მაგ დალოცვილს შუა შემოდგომა“ (ბიბილური, 1981: 98), განა დრო და ჟამი იცის სიკვდილმა!? სოფელი, რომ მენახირის სიკვდილის გამო საკუთარ წესს არ ღალატობს დსასტურდება ირონიულ-ლირიკული ჩანართით, საიდანაც ჩანს, რომ სოფლის კლუბში ჩვეულებრივ უჩვენებდნენ პარიზულ მელოდრამას. რატომ პარიზული? ესაა ყველაზე დიდი ირონია, რადგან სოფელში, სადაც ჯერ კიდევ საქმიანობის გამო ითვალწუნებენ ადამიანს, პარალელურად ევროპულ, თავისუფალ სამყაროსთან ეძებენ სიახლოვეს.

მოთხრობის სიუჟეტური კვანძი იკვრება მაშინ, როცა ერთ-ერთი მოტირალი შემთვევით წარმოთქვამს ფრაზას: „სოფელს სჭირდება, ნუ დაიმდურებ“ (ბიბილური, 1981. გვ:104). სწორედ აქედან იწყება სოფელსა და თაყას ოჯახს შორის არსებული გაუცხოება. „სოფელი თავისთვის იყო, მენახირე თავისთვის“ (ბიბილური, 1981:99). ესაა რეალობა და სამწუხარო ფაქტი იმისა, რომ ადამიანები ვერაფრით ითვისებენ გამორჩეულ, ზნემაღალ, პატიოსან თანამომემს. მათთვის თაყა და ნათლიდედა ყოველთვის გვერდზე მდგომი უცხონი იყვნენ, მიუხედავად ჩვეული ყოფითი ურთიერთობებისა. გამიჯვნას არც ის უშლიდა ხელს, რომ თაყას მეუღლეს პატივისცემისა და მოწიწების ნიშნად ნათლიდედად მოიხსენიებდნენ. სოფლის გულცივობაზე ისიც მეტყველებს, რომ მიცვალებულს ათიოდე ნათესავი მიჰყვა სამარის კარამდე, ქელების სუფრაზე კი ხალხმა ბლომად მოიყარა თავი. ხალხს ეტყობა, რომ ეგოისტური სიცოცხლის ჟინი მაინც უფრო ჭარბობს თითოეულ ადამიანში და მიუხედავად ჭირის სუფრისა მაინც ჟრიამულის ხმა ისმის ყველა მაგიდიდან, გარდა ერთი გამონაკლისისა, ტაბლასთან სადაც: „ბერიკაცები ისხდნენ, ყველას ემინოდა სიკვდილისა“ (ბიბილური, 1981:107). მხოლოდ მათ იცოდნენ და გრძნობდნენ დროის სიმცირეს. ამ დეტალით კარგად ჩანს დროის, როგორც „ნარატოლოგიური ფიგურის“ (ჟ. ჟენეტი), ფუნქციური დატვირთვა, რადგან, ერთი მხრივ, რეალურად არსებულ დროს ეწინააღმდეგება დროის ფენომენოლოგიური განცდა (ხარბედია, 2008: 132).

თავს სიკვდილისა და დაკრძალვის ამბით მთავრდება ერთი ძირითადი თემა მოთხრობისა: ადამიანის ვალმოხდილობისა და საზოგადოების მხრიდან მისი ღვაწლის სათანადოდ დაფასება.

აღნიშნული პასაჟი ქართული მენტალური მახასიათებელია. ეთნოლოგიური კვლევები, საქართველოს სხვადასხვა მხარის ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ, რომ ქართველის ცხოვრების წესი იყო - ეცოცხლა იმისთვის, რომ ეცხოვრა. ცხოვრება კი ქვეყნიდან გადასვლის, გარდაცვალების შემდეგ კვალის, ხსოვნის დატოვებას უდრიდა.

შედარე, ეთნოგრაფიული მასალა ოკრიბიდან:

„სოფელს ყველა კაცი ჭირდება. მიტოვ გვაჩენს ღმერთი. ისე უნდა იცხოვრო ტერიც კი არ უნდა მეიმდურო. სიკვდილზე თუ გაგიეღვებს თავში, მაშინ წესს გადახედე, რაცხას გასწორება გინდა. ტერ-მოყვარეს კვალი დოუტუე, სოფელ-ქვეყანა მოუნდურველი დატოვე და ისე გადადი...“ (აწსუ, ტარილე ფუტკარადის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მასალები. მოთხრობელი ელისაბედ ჩიტბე. სოფელი ჯონია. 1992)¹.

სოფლისა და ადამიანთა მანკიერებას წარმოაჩენს მოთხრობის მეორე პერსონაჟის, თინიას, ამბავი. მეორე ნაწილის სათაურიც „ტაბლა“ ერთგვარად აჯამებს ტექსტის სხვადასხვა პრობლემატიკას და, ტაბლას მსგავსად, თავს უყრის ორი მთავარი პერსონაჟის პერსპექტივას. თინია ის მეორე ნიშანსვეტია მოთხრობაში, ვისთანაც სრულდება სიწმინდის ავტორისეული გაგება. მოკლე აღწერილობით შეიძლება ითქვას, რომ თინია არის პერონაჟი, რომლის ხედვის კუთხითაც გადმოიციემა მოვლენები და განცდები.

„ყველაწმინდაში“ ჩანს ფოკალიზაციის ცნების შინაარსობრივი ნიუანსებიც. ტექსტში, ერთი მხრივ, ისმის ავტორის, როგორც მოთხრობელის, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკე, ავტორისეული თხრობა. ამგვარი დეტალები მოთხრობის სტრუქტურას გაცილებით უფრო რთულს და მრავალფეროვანს ხდის. ეს განსაკუთრებით მოთხრობის ფინალში ჩანს, რომელშიც თინიას გარდაცვალებაა აღწერილი.

ნათლიდედასავით განსაკუთრებულია მისი ამქვეყნიდან წასვლის ამბავი, რომელსაც ზედემტი ემოციურობითაც კი აღწერს ავტორი: „როცა ნათლიდედა კაკლის ქვეშ ჩაიკეცა, ჰო სწორედ იმ დროს, ცას ერთი დიდი ვარსკვლავი მოსწყდა. იმავ დროს კაკლის კენწეროებიდან ამოვიდა მთვარე - ყვითელი, ჭორფლიანი, გაბადრული, როგორც ძველებური სამზითვი დაირა“... (ბიბილური, 1981: 131) ეს ის შემთხვევაა, როდესაც ბიბილური მისთვის უჩვეულო ხატოვანებას მიმართავს და მთლიანად მოთხრობელზე აკეთებს აქცენტს, მკითხველს აიძულებს თამაშში ჩართვას. მკითხველმა გარეშე თვალთ უნდა განსაჯოს რომელი მოთხრობელი ესაუბრება უშუალოდ ავტორი, თუ ნიღაბს ამოფარებული ავტორი.

ბიბილურის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი მახასიათებელი მკითხველისა და ავტორის ბუნებრივად შემოყვანაა თხრობის პროცესში, რომლის დროსაც ლოგიკური სურათი და ამბის ორგანიზებული მდინარეა არ იცვლება. ფოკალიზაციის პრინციპი კი ისე ბუნებრივად გადაიზრდება ხოლმე ხმათა სიმრავლეში, რომ მკითხველს აღარ უწევს ხმათა ვარიაციებში მონაცვლეობა. ამიტომაცაა, რომ ტექსტის უფრო გამჭვირვალობისთვის მოთხრობელის განმარტებებს იშველიებს ბიბილური და ნათლიდედას სიკვდილის სცენაშიც სოფლის მიერ გალეგენდებული ამბის მეშვეობით ცდილობს შექმნას კონტრასტი მოთხრობის დასასრულთან მიმართებით, კიდევ ერთხელ დაგვანახოს სინამდვილის არცთუ ისე იმედიანი ბოლო. ვარსკვლავი მოწყდა, ანუ სოფლისთვის იმედის სხივი დაიკარგა, ზღაპრული სანახაობის შემდეგ: „სოფელს აღარ ჰყავს ნათლიდედა“ (ბიბილური, 1981: 131) - ადამიანი, ვინც პატივისცემას და მოწიწებას

¹ დიალექტური ფორმა დაცულია, არ გაგვისწორებია

იმსახურებს, ვისაც შესწევს უნარი ჯულუღას მსგავსი ხალხი საფლავის პირამდე ცხარე ცრემლით მოტირალი მიიყვანოს.

საყურადღებოა ისიც, რომ მოთხრობის ბოლოს კიდევ ერთ ნარატოლოგიურ ნიუანსს ვხვდებით, რაც რამდენიმე სახის ტექსტით ერთი მთავარი ისტორიის გადმოცემას ემსახურება. ფინალში იგავურ შეგონებას ბიბლიური სათქმელის მკაფიოობისა და მთავარი იდეის მკითხველამდე მიტანისათვის იყენებს.

დასკვნა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თამაზ ბიბლიურის მოთხრობაში „ყველაწმინდა“, გამოყენებულია ეპიგრაფი, იგავური შეგონება, ავტორისეული რემარკები და სიუჟეტის დანაწევრების სხვა საშუალებები, მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი გამორჩეული ტექსტია. ავტორი ახერხებს მჭიდრო კომუნიკაცია დაამყაროს მკითხველთან.

ნარატოლოგიური მეთოდით კვლევამ უკეთ წარმოაჩინა ტექსტის შინაარსობრივი მხარე და ავტორის მწერლური ოსტატობა. თხრობის აღნიშნული თეორიის მახასიათებლებისა და კარგად გამოხატული ნარაციული მახასიათებლების მიხედვით, ტექსტში ღრმააზროვანი, მრავალშრიანი მხატვრული რეალობა იქმნება, რომელიც ზრდის მხატვრული ნაწარმოების ლიტერატურულ ღირსებას და გამოკვეთს თხზულების პოსტმოდერნისტულ მარკერებს.

მოთხრობით „ყველაწმინდა“, თამაზ ბიბლიური XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისთვის კიდევ ერთ საყურადღებო ნიმუშს ქმნის, რითიც საკუთარი წვლილი შეაქვს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მხატვრული შემოქმედების განვითარების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მასალები. (მასალები ინახება უნივერსიტეტის ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში).

ბარტი, რ. (2011). თხრობითი ტექსტების სტრუქტურული ანალიზის შესავალი. *სემიოტიკა*. №9. გვ. 212-250.

<https://eprints.iliauni.edu.ge/536/1/სემიოტიკა%209.pdf> (30.10.2024).

ბარტი, რ. (2013). *როლან ბარტი*. ფრანგულიდან თარგმნა ნინო გაგომაშვილმა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

<https://literaturatmcodneoba.tsu.ge/barti.pdf> (30.10.2024).

ბარტი, რ. (2009). *ავტორის სიკვდილი*. თარგმანი მალხაზ ხარბედიას. *არილი*.

<http://arilimag.ge/როლან-ბარტი-ავტორის-სიკ/> (30.10.2024).

ბიბლიური, თ. (1981). *მთვარის შვილი - რომანები და მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

გრძელიშვილი, ლ. (2012). ოთარ ჭილაძის რომანის „რკინის თეატრის“ ნარატივი. *სტუდენტური კვლევები: ლიტერატურათმცოდნეობა და სხვ.* №1. თბილისი.

<https://www.litinstiuti.ge/studentkvleva/studenturi-kvleva-1.htm> (30.10.2024).

ქეგლი. (1962). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. ტ. VII. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“. გვ. 564-565.

ჭაბაშვილი, მ. (1989). *უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი*. თბილისი. გვ. 442. <https://online.fliphtml5.com/ddey/pbco/#p=442> (30.10.2024).

- ხარბედია, მ. (2008). *ნარატოლოგია. ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები*. ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: „ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“. გვ. 124-134. <https://literaturatmcodneoba.tsu.ge/litr-mim-77.pdf> (30.10.2024).
- ხეჩუაშვილი, ლ. (2013). ნარატიული მიდგომა პიროვნებისადმი: ფროიდიდან დღემდე. *ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები*. 2 (24). <https://psyedu.tsu.ge> (30.10.2024).
- ჯანჯღავა, ნ. (2009). *თანამედროვე ნარატოლოგია და ნარატიული მხატვრული ტექსტის მოდალური სტრუქტურის პრობლემა*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტუალი“. №10.
- ჯოხაძე, გ. (2012). სათაურის სემიოტიკა ქართულ ისტორიულ ნარატივში. *სემიოტიკა*. №11. <https://semioticsjournal.wordpress.com/2012/04/21/გია-ჯოხაძე-სათაურის-სემი/> (30.10.2024).
- Abbott, Porter H. (2002). *The Cambridge Introduction to Narrative*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Mattingly, Ch. (2002). *Healing Dramas and Clinical Plots: The narrative structure of experience*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Todorov, T. (1992). *Einführung in die fantastische Literatur*. Frankfurt a.m: Publisher: FISCHER Taschenbuch.

REFERENCES

- ak'ak'i ts'eretlis sakhelmts'ipo universit'et'is t'ariel put'k'aradzis sakhelobis kartvelologiis sametsniero-k'vleviti tsent'ris masalebi [Materials of Akaki Tsereteli State Univeristy's Tariel Putkaradze scientific-research center of Kartvelology]. (The materials are stored at the Tariel Putkaradze Scientific-Research Center of Kartvelology at the university).
- bart'i, r. (2011). tkhrobiti t'ekst'ebis st'rukt'uruli analizis shesavali [Introduction of narrative texts' structural analysis]. *semiot'ik'a [Semiotics]*. №9. pp. 212-250. <https://eprints.iliauni.edu.ge/536/1/სემიოტიკა%209.pdf> (30.10.2024).
- bart'i, r. (2013). *rolan bart'i [Roland Barthes]*. It was translated from French by Nino Gagoshashvili. Tbilisi: Tbilisi State University Press. <https://literaturatmcodneoba.tsu.ge/barti.pdf> (30.10.2024).
- bart'i, r. (2009). avt'oris sik'vdili [Death of an author]. Translation by Malkhaz Kharabedia. *arili [Arili]*. <http://arilimag.ge/როლან-ბარტი-ავტორის-სიკ/> (30.10.2024).
- bibiluri, t. (1981). *mtvaris shvili - romanebi da motkhroebi [Child of the Moon – novels and short stories]*. Tbilisi: Publishing house „Sabchota sakartvelo“.
- grdzelishvili, l. (2012). otar ch'iladzis romanis “rk'inis teat'ris” narat'ivi [Narrative of Otar Tchiladze's novel “Theatre of iron”]. *st'udent'uri k'vlevebi: lit'erat'uratmtsodneoba da skhv [Student researches: literary studies and etc]*. №1. Tbilisi. <https://www.litinstitutu.ge/studentkvleva/studenturi-kvleva-1.htm> (30.10.2024).
- kegli [Georgian Language Explanatory Dictionary]. (1962). *kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni [Georgian Language Explanatory Dictionary]*. Vol. VII. Tbilisi: Georgian SSR Academy of Sciences Press. pp. 564-565.
- ch'abashvili, m. (1989). *utskho sit'qvata ganmart'ebiti leksik'oni [Explanatory Dictionary of Foreign Words]*. Tbilisi. pp. 442. <https://online.fliphtml5.com/ddey/pbco/#p=442> (30.10.2024).
- kharabedia, m. (2008). *narat'ologia. lit'erat'uris teoria. XX sauk'unis dziritadi metodologiuri k'ontsepsiebi da mimdinareobebi [Narratology. Theory of literature. Key Methodological Concepts and Trends of the XX Century]*. Institute of literature. Tbilisi: Georgian Institute

- of Literature Press. pp. 124-134. <https://literaturatmcodneoba.tsu.ge/litr-mim-77.pdf> (30.10.2024).
- khechuashvili, l. (2013). *narat'iuli midgoma p'irovnebisadmi: proididan dghemde* [The Narrative Approach to Personality: From Freud to today]. *psikologia da ganatlebis metsnierebebi* [Psychology and Educational Sciences]. 2 (24). <https://psyedu.tsu.ge> (30.10.2024).
- janjghava, n. (2009). *tanamedrove narat'ologia da narat'iuli mkhat'vruli t'ekst'is modaluri st'rukt'uris p'roblema* [Contemporary Narratology and the Problem of the Modal Structure of Narrative Fiction]. Tbilisi: Publishing house „Intelektuali“. №10.
- jokhadze, g. (2012). *satauris semiot'ik'a kartul ist'oriul narat'ivshi* [The Semiotics of Titles in Georgian Historical Narrative]. *semiot'ik'a* [Semiotics]. №11. <https://semioticsjournal.wordpress.com/2012/04/21/გია-ჯობაძე-სათაურის-სემი/> (30.10.2024).
- Abbott, Porter H. (2002). *The Cambridge Introduction to Narrative*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Mattingly, Ch. (2002). *Healing Dramas and Clinical Plots: The narrative structure of experience*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Todorov, T. (1992). *Einführung in die fantastische Literatur*. Frankfurt a.m: Publisher: FISCHER Taschenbuch.